საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10230/01
28/09/2021

10230-01-2-202109281721

შპს „ECOMIX"-ის დირექტორს
ბატონ არმან ჰაკობიანს
ელ. ფოსტა: ecomix.ge@yahoo.com

ბატონო არმან,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 20 სექტემბრის N16903 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, წყალში ხსნადი საღებავების წარმოებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის გათვალისწინებული სამინისტროს 2021 წლის 2 აგვისტოს N8139/01 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

- როგორც სამინისტროს N8139/01 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნედლეულის საწარმოში შემოტანის შესახებ, ტრანსპორტირების შესაბამისი სქემის მითითებით;
- სკრინინგის განცხადება სამინისტროში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის თაობაზე, თუმცა განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმო უკვე მოწყობილია. ამასთან, განცხადების გარკვეულ თავებში მითითებულია, რომ იგეგმება დღეში 1 ტ, ხოლო წელიწადში 180 ტ საღებავების წარმოება. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 10 თებერვალს შპს „ECOMIX"-ის ობიექტის ინსპექტირებისას (ინსპექტირების აქტი №007457) დადგინდა, რომ საწარმო 2020 წლიდან ახორციელებს სამშენებლო საღებავების დამზადებას. გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოში არსებული მდგომარეობის შესაბამისად, კერძოდ, მიმდინარეობს თუ არა ამჟამად წარმოება.

ამასთან, გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, შემოტანილი ნედლეულის შესაფუთი მასალა (ქაღალდის ტომრები), შესაბამისი წესების დაცვით, შემდგომში ნადგურდება

შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ. დაზუსტებას საჭიროებს ნედლეულის შესაფუთი მასალის, როგორც ნარჩენის, საწარმოს ტერიტორიაზე დროებითი განთავსების საკითხი (შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციისთვის გადაცემამდე);

- სკრინინგის განცხადებაში, მოხმარებული ნედლეულის სახეობებსა და რაოდენობაში მითითებულია 198000 ტ/წელ მდინარის ბალასტი (ცხრილი 1; გვ. 2), რაც საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებას თან ახლავს საწარმოს გენ-გეგმა, სადაც აღნიშვნები და ექსპლიკაციები აცდენილია ერთმანეთს და არ იკითხება, შესაბამისად საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი საწარმოს განთავსების ტერიტორიის სიტუაციური რუკა (სურ. 1; გვ. 4) არ იკითხება და საჭიროებს კორექტირებას.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე